MES 5 23 0001607966

27/11/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრ ებ:

დავით მალაზონია- შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ცირა კეჟერაშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
რუსუდან ზვიადური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ცხოვრებაძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. **სსიპ - ქალაქ თბილისის N131 საჯარო სკოლა:**
ადელინა ენუქიძე - სკოლის დირექტორი

2. **სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლა:**
თინათინ მელანაშვილი - სკოლის დირექტორი

3. **სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის კირცხის თემის N1 საჯარო სკოლა:**
დიმონი არახამია - სკოლის დირექტორი

4. **სსიპ - ქალაქ თბილისის N210 საჯაროსკოლა:**
რუსუდან კეკელიძე - სკოლის დირექტორი

5. **სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა:**
რამაზ მამულაძე - სკოლის დირექტორი

6. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლა
დავით რაზმიაშვილი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

7. სსიპ - ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლა
ტატიანა მაჩაიძე - სკოლის დირექტორის მოველეობის შემსრულებელი

8. სსიპ - ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯ არო სკოლა
ლელა ქობულაძე - სკოლის დირექტორი

9. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდის საჯარობსკოლა
მეგი ხუციშვილი - სკოლის დირექტორი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტე ბი):

სსიპ - ქალაქ თბილისის N131 საჯარო სკოლა:

ა) მანანა ალიბეგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,თავმჯდომარე);
ბ) მარი ფალელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო აბესაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მარიამ ლეკიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიკო მჭედლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თეონა ჯაფარიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მორის გუმბარიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) ლელა კვირტია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე(სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კურტანიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლა:

ა) თამარ აბაზაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,თავმჯდომარე);
ბ) ვერა ბენიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეკატერინე გურგენაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ელენე კურდღელია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათელა ბასილია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარი ჩიმაკიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ხუროშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარინე ხუციშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის კირცხის თემის N1 საჯარო სკოლა:

ა) ვერა ბენიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,თავმჯდომარე);
ბ) ნესტან გიგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნონა ლაგვილავა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) კახა გალდავა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ბლუაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნონა გამხიტაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მარინე ახალაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N210 საჯარო სკოლა:

ა) გიორგი მომცელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,თავმჯდომარე);
ბ) მაკა ნადარეიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) რუსუდან უსტიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ციალა ჩიტია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა ჯაფარიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლამზირა აფაქიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაკა აფრიამაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ციცინო თორია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა:

ა) დიმიტრი ქარსელაძე(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,თავმჯდომარე);
ბ) ხათუნა კობიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,წევრი);
გ) რომანი გაბუნია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მარეხი ჩიკვაიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამთა პეტრიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ ჩიმაკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თინათინ გიორგაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) გიორგი ბერძულიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,წევრი);
ლ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი,წევრი).

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლა:

ა) მედეა ქოქრაშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,თავმჯდომარე);
ბ) ანა კვიჟინაძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნელი ნაოჭაშვილი - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ზაზა მანია - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ე) ზურაბ ურიადმყოფელი - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სალომე არაბიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ გიორგი ჩაჩუა - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) სოფიო ხვადაგიანი - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირაკლი ქობალია - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ნადია უშიკიშვილი - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კოხოძე - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლა:

ა) მარიამი ხეთაგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,თავმჯდომარე);
ბ)თეა გაბელაია(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნანა შამუგია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ელენე კურდღელია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თაია მამარდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნათია მაკრახიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ოლიკო კილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინელი ცერცვაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლა:

ა) მიხეილ ტეფნაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,თავმჯდომარე);
ბ) თამარ კეშელავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მანანა ცუცქირიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თეონა შუბლაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ე) ვალერიანე ვოლჩანსკი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეთერ ქუთათელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ანა ობოლაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) ნიკოლოზ ჩუბინიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მანანა შეროზია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდის საჯარო სკოლა:

ა) მამუკა ხამხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,თავმჯდომარე);
ბ) მედეა მაქაცარია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნანა ვარდმანიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკოლოზ გურგენიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) როლანდ შავაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ჩაჩუა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნიკოლოზ ჩუბინიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე - 17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 13 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე- 20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის N131 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის კირცხის თემის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ თბილისის N210 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ქალაქ თბილისის N131 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 3 და 4 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1300 მოსწავლე.
ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა, განმარტა, რომ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა 3.4.1.1 ინდიკატორი შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით, ვინაიდან სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ 3.4.1.1 ინდიკატორთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაცია, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, ხომ არ ჰქონდა სკოლას შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი მიღებული.
სკოლის დირექტორმა, ადელინა ენუქიძემ, განმარტა, რომ სკოლას მიღებული ჰქონდა შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ დასკვნაში მოქალაქეობის საგნის ველი თითქმის ცარიელი იყო, შესაბამისად, ამის ფონზე დაინტერესდა, რატომ ჰქონდა სკოლას მეორე სტანდარტი სრულ შესაბამისობაში.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, მარიამ ლეკიაშვილმა, აღნიშნა, რომ აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისთვის ექსპერტების მხრიდან სკოლას მიეცა რჩევები, რომლის შედეგადაც სკოლამ წარმოადგინა სრულად შევსებული დოკუმენტი.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, სკოლას მისცა რჩევა, რომ სკოლის ფილოსოფია მეტად მოერგოთ სკოლის სპეციფიკასა და ადგილობრივ საჭიროებებს.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სსიპ ქალაქ თბილისის N131 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1300 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N 131 საჯარო სკოლას (ს/კ : 208142730) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული

რაოდენობა განესაზღვროს 1300 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ.თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ.თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ.თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12

საბჭომ 3.4. კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა ცენტრში, შენობის მდგრადობის დოკუმენტის წარმოდგენისა და სეისმომედეგობასთან შესაბამისობაში მოყვანის გეგმის წარმოდგენის ვალდებულება.

2. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ აბაზაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 01 და 02 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ფხვენისიში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 200 მოსწავლე.
ექსპერტმა, თამარ აბაზაძემ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლის საგნობრივი კათედრები სკოლის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი რგოლი იყო. საგნობრივი კათედრების წევრები აქტიურ კომუნიკაციაში იმყოფებოდნენ ერთმანეთთან. კათედრის ფარგლებში მასწავლებლები ერთად მუშაობდნენ საგნობრივ კურიკულუმებზე და ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას. ასევე, თანამშრომლობდნენ სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან და გეგმავდნენ ერთობლივ გაკვეთილებსა და პროექტებს.
ექსპერტმა განმარტა, რომ პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც, „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. კომპონენტები 3.4 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, თუ რა ინტერვენციების განხორციელებას აპირებდნენ სკოლის გრძელვადიანი ხედვის მისაღწევად.
სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგეგმებოდა სკოლის დონეზე ინიცირებული პროექტების განხორციელება და შემდგომ სხვა სკოლებისთვის გამოცდილების გაზიარება.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა თუ რომელი კლასები იყო მეორე ცვლაში.
სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ მეორე ცვლაში იყო მესამე და მეოთხე კლასები.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე-9
წინააღმდეგი - 1

ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, , მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირაა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლას (ს/კ : 218047307) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი სოფელი ფხვენისი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი სოფელი ფხვენისი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი სოფელი ფხვენისი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - პირველი, მეორე (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მესამე და მეოთხე სტანდარტები.
საბჭომ 3.4 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ: შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის წარდგენა ცენტრში.

3. სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის კირცხის თემის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ვერა ბენიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 29 და 30 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის კირცხის თემში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 136 მოსწავლე.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლა გარემონტებული იყო მილენიუმის პროექტის ფარგლებში, სკოლას ჰქონდა დახურული და ღია ტიპის სპორტული მოედანი, გარდა ამისა სკოლა ჩართული იყო არაფორმალური განათლების სხვადასხვა პროექტებში.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მეორე შენობა, რომელიც ძირითადი შენობისგან 6 კილომეტრით იყოდაშორებული, წარმოადგენდა მთავარ გამოწვევას, თუმცა სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას დაადასტურა, რომ მეორე შენობაში სასწავლო პროცესი სექტემბრიდან აღარ გაგრძელებულა და მოსწავლეები მთავარ შენობაში გადმოიყვანეს.
ექსპერტმა, ვერა ბენიძემ, განმარტა, რომ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა 3.4. კომპონენტი შეფასებული იყო „მეტწილი „შესაბამისობით, ვინაიდან სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაცია, რომელიც ასახულიიყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა თუ რა მიდგომით ჩართო სკოლამ მოსწავლეები სკოლის შინაგანაწესის შექმნაში. გარდა ამისა, გაიცა თუ არა ექსპერტების მხრიდან რჩევები შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, ვერა ბენიძემ, განმარტა, რომ მოსწავლეების დაინტერესების მთავარი მიზეზი გახლდათ მოტივაცია იმისა, რომ შეეძლოთ ცვლილებების შეტანა აღნიშნულ დოკუმენტში, ხოლო რაც შეეხებოდა შეფასების რუბრიკებს, წერილობითი რჩევები ექსპერტების მხირდან არ გაცემულა.
სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლას სურდა სასკოლო ფორმების შემოღება, შესაბამისად, მოსწავლეთა აზრის გათვალისწინებისთვის ისინი შინაგანაწესის შემუშავება/გადახედვაში ჩართო.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხვენისის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 136 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მ ო მ ხ რ ე - 1 0
წინააღმდეგი -1

ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირაა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის კირცხის თემის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 242262939) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 136 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, კირცხის თემი; ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის კირცხის თემი (ლეტეშის კორპუსი)

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, კირცხის თემი;
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, კირცხის თემი;

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ: შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა.

17:00 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი პეტრე ბაბილუა.

4. სსიპ - ქალაქ თბილისის N210 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი მომცელიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N210 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 28 და 29 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, დ. სარაჯიშვილის ჩიხი I, N2 -ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1200 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტები შეფასებული იყო, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტი 3.4 „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ექსპერტმა, გიორგი მომცელიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები,

რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში იყო მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებული გარემო. მისი განცხადებით სკოლა ერთ-ერთ პროფესიულ სასწავლებელთან ჰქონდა მემორანდუმი გაფორმებული. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში სკოლის მოსწავლეები ეცნობოდნენ მზარეულისა და კონდიტერის პროფესიებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, ექსპერტს მიმართა კითხვით, ირიცხებოდა თუ არა სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. ექსპერტმა, გიორგი მომცელიძემ, აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდნენ სპეციალუირი საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები. ექსპერტის განცხადებით სკოლაში არ ირიცხებოდა ეტლით მოსარგებლე მოსწავლე.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთ-ერთი დოკუმენტის თანახმად, სკოლას დამტკიცებული ჰქონდა შიდა სასკოლო ჯგუფი, რომელიც მუშაობდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტზე. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მოცემული დოკუმენტის თანახმად, ჯგუფის მუშაობის ვადა იყო დეკემბრის ბოლომდე. ზვიად გოგუაძემ სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, იყო თუ არა სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები დასრულებული, თუ შიდა სასკოლო ჯგუფი აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობას კვლავ განაგრძობდა. სკოლის დირექტორმა, რუსუდან კეკელიძემ, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია იყო დასრულებული სახით. თუმცა, აღნიშნული ჯგუფი მუშაობას განაგრძობდა.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები არ იყო სრულყოფილი. აღნიშნულთან დაკავშირებით დასკვნაში ექსპერტების მხრიდან არ ხდებოდა ყურადღების გამახვილება რჩევებისა და რეკომენდაციების სახით. საბჭოს წევრმა საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტს სთხოვა გაეზიარებინა მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, მაია ჩიტიამ, აღნიშნა, რომ შეხვედრის დროს ექსპერტის მხრიდან ზეპირსიტყვიერად მოხდა გარკვეული რეკომენდაციების გაცემა, როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით. რეკომენდაციების გაცემის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა სრულყოფილი დოკუმენტაცია. აქედან გამომდინარე ექსპერტმა აღარ მიიჩია საჭიროდ დამატებითი რეკომენდაციების დასკვნაში გაწერა. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან პირველადი დოკუმენტაციის წარმოდგენა მოხდა ზაფხულის დასაწყისში. სკოლამ სასწავლო წლის დაწყებამდე აღნიშნულ დოკუმენტაციაზე იმუშავა, დახვეწა და განავითარა. ვიზიტის პერიოდში სკოლის მასწავლებლებმა ექსპერტს წარუდგინეს შეცვლილი და სრულყოფილი კურიკულუმები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე, რომლის თანახმადაც სკოლა გეგმავდა წელიწადში ორჯერ ჩაეტარებინა სადიაგნოსტიკო წერები და მოეხდინა შედეგების გაანალიზება. საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, რა ეტაპზე იყო სკოლა მოცემული დროისთვის და როგორ აპირებდა აღნიშნულის განხორციელებას. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის უკვე მიმდინარეობდა სადიაგნოსტიკო წერები. შედეგების გაანალიზება მოხდებოდა დეკემბერში. რიგით მეორე სადიაგნოსტიკო წერა დაგეგმილი იყო სასწავლო წლის დასასრულს, რომლის შედეგების გათვალისწინებაც მოხდებოდა მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას. საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა აღნიშნული წერების გაანალიზება ხდებოდა მხოლოდ კონკრეტული

საგნის ჭრილში თუ თანამშრომლობდნენ სხვადასხვა კათედრებიც. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში აქტიურად თანამშრომლობდნენ კათედრები და ხშირად ხდებოდა სხვადასხვა საკითხების შეთანხმება.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N210 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1
ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირაა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N210 საჯარო სკოლას (ს/კ : 236059260) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, დ. სარაჯიშვილის ჩიხი ,N2
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, დ. სარაჯიშვილის ჩიხი 1, N2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, დ. სარაჯიშვილის ჩიხი 1, N2

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ: შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების, ასევე, ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციაის წარმოდგენა.

5. სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლისავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, დიმიტრი ქარსელაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 04 და 05 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ შავღელეში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 200 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი პირველი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; სტანდარტი მეორე შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; სტანდარტი მესამე შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ და სტანდარტი მეოთხე შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტები 1.1, 2.2, 3.1, 3.4, 3.6, 4.1, „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ექსპერტმა, დიმიტრი ქარსელაძემ, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლაში სხვადასხვა ასაკისა და გამოცდილების მასწავლებლები შეთანხმებულად და ჰარმონიულად მუშაობდნენ. ექსპერტის განცხადებით სკოლაში იყო მეგობრული და თანამშრომლობითი გარემო. მასწავლებლები უზიარებდნენ ერთმანეთს ცოდნას და გამოცდილებას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე და ექსპერტებს მიმართა კითხვით, რატომ არ მოხდა დასკვნაში აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღების გამახვილება. ექსპერტმა, დიმიტრი ქარსელაძემ, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალა საწყის ეტაპზე არ იყო სრულყოფილი, თუმცა ინტერვიუების დროს მასწავლებლებმა შეძლეს მათი საქმიანობის სრულყოფილად წარმოჩენა. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ხათუნა კობიაშვილმა, აღნიშნა, რომ მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა მასწავლებელთა საჭირობები ტექნოლოგიების მიმართულებით. სწორედ აღნიშნულ საკითხს უკავშირედებოდა სკოლის მხრიდან მასალების შეფერხებით და არასრულყოფილად წარმოდგენა. მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, გიორგი ბერძულიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტაცია თავდაპირველ ეტაპზე იყო არასრულყოფილი, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მასწავლებლების მაღალი მზაობა და ჩართულობა.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას (ს/კ : 244556583) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი შავღელე
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი შავღელე
3		საშუალო	ქართული	ხობის მუნიციპალიტეტი,

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			სოფელი შავღელე

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი, მეორე (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მესამე და მეოთხე სტანდარტები.
17:40 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი, ნატო გაბოშვილი.

6. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მედეა ქოქრაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 29 და 30 აგვისტოს. ექსპერტის განცხადებით სკოლის შემადგენლობაში შედიოდა სხვადასხვა სოფელში მდებარე ორი შენობა. სოფელ სასირეთში მდებარე სკოლა ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლას დაექვემდებარა 2005 წელს. სკოლის ერთი შენობა მდებარეობდა ქარელის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბრეთის მეურნეობაში, ხოლო მეორე შენობა - სოფელ სასირეთში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 320 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტები 3.4, 3.5 და 3.6 „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ექსპერტმა, მედეა ქოქრაშვილმა, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს სთხოვა გაეზიარებინა საკუთარი მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ნელი ნაოჭაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იყო სრულყოფილი. თუმცა შეხვედრაზე გამოიკვეთა მასწავლებელთა მაღალი ჩართულობა და მზაობა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის განხორციელების პერიოდში სასწავლო პროცესი დაწყებული არ იყო. სასწავლო პროცესის დაწყებამდე მასწავლებლები გეგმავდნენ კურიკულუმების შეცვლას და განვითარებას.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშილმა, სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, როგორ ხდებოდა იმ მოსწავლეთა საჭიროებების შეფასება და მათზე მორგებული სასწავლო გეგმების დანერგვა, რომლებიც სასირეთის დაწყებითი სკოლიდან მეხუთე კლასში სწავლას განაგრძობდნენ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლაში. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსულებელმა, დავით რაზმიაშვილმა, აღნიშნა, რომ მასწავლებლები მუშაობდნენ, როგორც ბრეთის მეურნეობის, ისე სასირეთის საჯარო სკოლაში. შესაბამისად, მასწავლებლები იცნობდნენ ორივე სკოლის მოსწავლეებს და მოსწავლეებისთვის ადაპტაციის საკითხი არ იყო რთული.
საბჭს წევრი, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა სკოლაში ინტერნეტიზაციის საკითხით და სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, იგეგმებოდა თუ არა სკოლაში აღნიშნული საკითხის მოგვარება უახლოეს მომავალში. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, დავით რაზმიაშვილმა, განაცხადა, რომ მოცემული დროისთვის სკოლაში ინტერნეტის პრობლემა უკვე აღმოფხვრილი იყო.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 320 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირაა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის მეურნეობის საჯარო

სკოლას (ს/კ : 240890737) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი. სოფელი ბრეთის მეურნეობა. ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი სასირეთი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბრეთის მეურნეობა.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბრეთის მეურნეობა.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ: შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, ასევე შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის და სკოლაში ადაპტირებული გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

7. სსიპ - ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო ს კოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიამ ხეთაგაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 16 და 17 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა საჩხერის მუნიციპალიტეტ სოფელ საირხეში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ჰქონდა 228 მოსწავლე.
ექსპერტის, მარიამ ხეთაგაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. კომპონენტები 3.4, 3,5 და 3.6 შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ ან „ნაწილობრივი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლაში კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით განხორციელებული იყო პროექტები. სკოლაში ფუნქციონირებდა არქეოლოგ ჯურხა ნადირაძის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი. სკოლაში გამოფენილი იყო მოსწავლეების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნამუშევრები - რომლებიც საბუნებისმეტყველო და სხვა საგნების თვალსაჩინოებებს წარმოადგენდა. სკოლამ განახორციელა სასკოლო პროექტი კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით სახელწოდებით „მზით განათებული ათასწლეული“. გიდების პროგრამით გადამზადდა სკოლის 4 მოსწავლე, გამოიცა გაზეთი ,,არტეფაქტი", მოეწყო ექსკურსია არქეოლოგიური გათხრების ადგილზე ე.წ. საბადურის გორაზე, საირხის ონომასტიკური და ტოპონიმიკური მასალების თემაზე კონფერენცია გაიმართა, დაიდგა ლიტერატურული კომპოზიცია ანტიკურ საირხეზე, ჩამოისხა პროექტის ,,მზით განათებული ათასწლეულები"-ს სახელობის ღვინო.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, პირველ სტანდარტთან დაკავშირებით , აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სკოლის მისია იყო საკმაოდ ზოგადი და სჭირდებოდა დაკონკრეტებას.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს სკოლასთან მიმართებით არაერთი მნიშვნელოვანი რჩევა ჰქონდა გაცემული. საბჭოს წევრმა მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა აპირებდა თუ არა სკოლა ამ რჩევების

გაზიარებას, მიუხედავად იმისა, რომ არ ატარებდა ისინი შესასრულებლად სავალდებულო ხასიათს.
სკოლის დირექტორის მოადგილემ, ტატიანა მაჩაიძემ, აღნიშნა, რომ სკოლა ნამდვილად აპირებდა ყველა რჩევისა და რეკომენდაციის გათვალისწინებას, მათ შორის რიგი საკითხები იყო უკვე გადაწყვეტილი, დანარჩენს კი სკოლა მოაგვარებდა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სსიპ - ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 228-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 2

საბჭოს ორმა წევრმა მხარი არ დაუჭირა, სსიპ - ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა ადაპტირებული გარემო და არ იყო დაცული უსაფრთხოება, შესაბამისად მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საბჭოს წევრებმა არ მიიჩნეს მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლას (ს/კ: 239402623) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 228-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი საირხე
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი საირხე
3		საშუალო	ქართული	

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი საირხე

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი და მეორე (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

8. სსიპ - ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 24 და 25 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა გარდაბნის მუნიციპალიტეტ სოფელ კუმისში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ჰქონდა 500 მოსწავლე.

ექსპერტის, მიხეილ ტეფნაძის, განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მეორე და მეოთხე სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. კომპონენტები 3.4 და 3.6 კი შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლის კოლექტივი აქტიურად იყო ჩართული ავტორიზაციის პროცესში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დროს. სკოლაში დასაქმებული თითოეული პირი, რომლებთანაც უშულოდ ვიზიტის პერიოდში შედგა ურთიერთობა, კარგად იცნობდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკას, უშულოდ სკოლის კულტურასა და სასკოლო საზოგადოებას. დაწესებულებაში არსებული თანამშრომლობითი გარემო განაპირობებდა პედაგოგთა რამდენიმე თაობის ერთიან მუშაობასა და ახალი/ახალგაზრდა კადრების სკოლაში დასაქმებით დაინტერესებას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს პირველ სტანდარტთან დაკავშირებით საკმაოდ მნიშვნელოვანი რჩევები ჰქონდა გაცემული და თხოვნით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა რა ეტაპზე იყო აღნიშნული საკითხების მოგვარების პროცესები.
სკოლის დირექტორმა, ლელა ქობულაძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს წარდგენილი ჰქონდა სკოლას პირველ სტანდარტთან დაკავშირებული დოკუმენტები მხოლოდ პროექტების სახით, მას შემდეგ კი რაც განახლდა სასწავლო პროცესი, მათ სასკოლო საზოგადოებისა და თემის ჩართულობით უზრუნველყვეს დოკუმენტების შემუშავება და დამტკიცება რეკომენდაციების გათვალისწინებით.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, აღნიშნა რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო, რომ სკოლა შემუშავებულ შეფასების მექანიზმებს აცნობდა მშობლებს. საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა ეს მეთოდი ეხებოდა მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებს თუ მოიაზრებოდა ყველა საგნისთვის.
სკოლის დირექტორმა, ლელა ქობულაძემ, აღნიშნა, რომ მსგავსი პრაქტიკით სარგებლობდა ყველა კათედრა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა რა კონკრეტულ ღონისძიებებს ატარებდა სკოლა ზურაბ ბეგიაშვილის სახელის უკვდავსაყოფად, ვინაიდან სკოლა სწორედ მის სახელს ატარებდა.
სკოლის დირექტორმა, აღნიშნა რომ ყოველი წლის 8 აგვისტოს სკოლა მართავდა ფართომასშტაბიან ღონისძიებებს, ასევე სკოლა აღნიშნავდა ზურაბ ბეგიაშვილის დაბადების დღეს და თანამშრომლობდა თავდაცვის სამინისტროსთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, სკოლის წარმომადგენლისგან ითხოვა დაზუსტება, იმისა თუ როდის რეაბილიტირდა სკოლა და ჰქონდა თუ არა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
სკოლის დირექტორმა, ლელა ქობულაძემ განაცხადა, რომ სკოლის სრული რეაბილიტაცია დაიწყო 2020 წელს და დასრულდა 2022 წელს, შენობა შესული იყო ექსპლუატაციაში და ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სსიპ - ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისის საჯარო სკოლას (ს/კ: 226526293) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გარდაბნის მუნიციპლაიტეტი, სოფელი კუმისი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გარდაბნის მუნიციპლაიტეტი, სოფელი კუმისი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გარდაბნის მუნიციპლაიტეტი, სოფელი კუმისი

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაცია და მისი შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

9. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 20 და 21 ივლისს. სკოლა მდებარეობდა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 300 მოსწავლე.
ექსპერტის, მამუკა ხამხაძის, განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასეული იყო „მეტწილად“ შესაბამისად; მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.4 და 3.6 კი შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს ექსპერტთა ჯგუფმა „მეტწილ“ შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა. მეოთხე სტანდარტი კი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა რომ ექსპერტთა ჯგუფს გაცემული ჰქონდა რჩევა ინდიკატორ 3.2.1.1 თან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს და სთხოვა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა, ჰქონდა თუ არა სკოლას პროფესიული განვითარების სისტემა.
სკოლის დირექტორმა, მეგი ხუციშვილმა, აღნიშნა რომ კათედრის სხდომებზე რიგ შემთხვევაში ხდებოდა მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა, პედაგოგები ესწრებოდნენ საგნობრივ

ტრენინგებს და მიმართავდნენ „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტს, რომლის ფარგლებშიც ისინი უზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას ერთმანეთს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1
ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნები, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირაა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდის საჯარო სკოლას (ს/კ: 218031047) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტინისხიდი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტინისხიდი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტინისხიდი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი, მეორე (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მესამე და მეოთხე სტანდარტები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 20:50 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა